პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №17

20 19 წ. "28" 01

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისის" (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები":

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	89	104	ქართული	30	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	თექის ოსტატი (1)	მესამე	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080382	66	81	ქართული	24	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი (1)	მეოთხე	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080359	97	127	ქართული	24	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	ფილამწყობი (1)	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	30	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

6	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (1)	მეოთხე	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080381	97	127	ქართული	28	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
7	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (1)	მეხუთე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080377	107	137	ქართული	15	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №2 სხდომის ოქმის მეათე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე